საბაკალავრო პროგრამის დასახელება: კულტურის კვლევები (Cultural Studies)

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: კულტურის კვლევების ბაკალავრი / BA in Cultural Studies

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

240 ESTC კრედიტი. საბაკალავრო 240 ESTC კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 50 ESTC კრედიტი ეთმობა საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს. 120 ESTC კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის. 60 ESTC კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ESTC კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისათვის.

ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 55 ESTC კრედიტი სპეციალობის ძირითადი კურსებისთვის, 55 ESTC კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის, ხოლო 10 ESTC კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამა კომპლექსურად შეისწავლის კულტურის ფენომენს, კულტურის კვლევებში გამოყენებულ ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს, სკოლებსა და მიმდინარეობებს, რომელთა წარმომადგენლებმა სათავე დაუდეს კულტურის მეცნიერებათა ჩამოყალიბებას კვლევის ცალკე დარგად, კულტურის ემპირიული კვლევის მეთოდებს. სტუდენტი ეუფლებას კულტურის ფენომენისადმი ინტერდისციპლინური მიდგომის, ემპირიული მასალის თავმოყრისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს.

პროგრამის მიზანია, კულტურის კვლევების სფეროში ფართო და ზოგადი ცოდნის ფონზე, მოამზადოს სპეციალისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება შრომის ბაზარზე.

პროგრამა აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს და ავითარებს მათ ინოვაციური კვლევებითა და სწავლებით. იგი მიზნად ისახავს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებას, კერძოდ, კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიური აღქმის ხელშეწყობას, კულტურათაშორისი დიალოგის პრინციპების დამკვიდრებას, რაც გულისხმობს სხვა კულტურების გაცნობას, კულტურათაშორისი განსხვავებების გაცნობიერებას, განსხვავებულის პატივისცემას; სტერეოტიპების, ქსენოფობიის და რასიზმის პრევენციას; მრავალფეროვან კულტურულ გარემოში ორიენტაციის, წარმატებული კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **კულტურის კვლევების** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე - ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სწავლის შედეგი: საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს ზოგადი ჰუმანიტარული ცოდნითა და კონკრეტული კომპეტენციით კულტურის კვლევების სფეროში; ეხმარება დაინახოს, როგორ უკავშირდება კულტურული განვითარების პრობლემები პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებს ამა თუ იმ ეპოქაში; რამდენად დამოკიდებულია წარსულის აღქმა და რეპრეზენტაცია კონკრეტულ კულტურულ სივრცეზე; როგორ იცვლება სამეცნიერო ინტერესები, კატეგორიები და პრობლემები დროსთან ერთად; სტუდენტს უნდა შეეძლოს ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება, პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გადაწყვეტის ხერხებისა და გზების შერჩევა; ჰქონდეს ფაქტობრივი მასალის ანალიზისა და სინთეზის უნარი; შეეძლოს კონსტრუქციული გზით კრიტიკული შეხედულებების გამოხატვა, თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა ზეპირი და წერილობითი ფორმით.

პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს უყალიბდება მულტიკულტურულ გარემოში ორიენტაციის, კომუნიკაციის, კულტურული განსხვავებებით განპირობებული კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილების უნარ-ჩვევები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, თანამედროვე გლობალურ სამყაროში, მეორე მხრივ კი საქართველოს მრავალეთნიკურ, მრავალკუტურულ და მრავალკონფესიურ რეალობაში წარმატებული თვითდამკვიდრებისათვის. კურსდამთავრებულთა სახით საზოგადოება შეიძენს გახსნილ, ტოლერანტულ, სტერეოტიპებისა და ცრურწმენებისგან თავისუფალ მოქალაქეებს, რომლებიც შეძლებენ შეძენილი ფასეულობები, ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ თანატოლებს და გამოიყენონ მომავალ ცხოვრებაში. ეს ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ცოდნა და გაცნობიერება: სალექციო და სასემინარო მუშაობისათვის განსაზღვრული თეორიული და ემპირიული მასალის ათვისების საფუძველზე, ბაკალავრი ფლობს საბაზისო ცოდნას კულტურის მეცნიერებებში, კულტურის ფენომენის მეცნიერული ანალიზის საწყისებს, აქვს წარმოდგენა კულტურის ფენომენის კვლევის ინტერდისციპლინურ ხასიათზე, იცნობს ძირითად პრობლემებს და განვითარების ტენდენციებს კულტურის მეცნიერებებში, აქვს კულტურული ფაქტებისა და მოვლენების კონტექსტუალიზაციის უნარი. ამ ცოდნას იგი იყენებს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: შეძენილი ცოდნა სტუდენტს უყალიბებს ემპირიული მასალის კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის, ლიტერატურის მოძიების, სისტემატიზაციის, ზეპირი და წერილობითი ფორმით მუშაობის შედეგების

პრეზენტაციის უნარს, რომელიც აუცილებელია დასაქმებისა და წარმატებული საქმიანობისათვის. პროგრამის გავლის შედეგად შეძენილი უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს აძლევს მულტიკულტურულ გარემოში დასაქმებისა და სწავლის შესაძლებლობას.

კომუნიკაციის უნარი: კულტურის კვლევების ბაკალავრს შეუძლია სხვადასხვა ტიპის პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება, ეფექტური ურთიერთობა სასწავლო თუ სამუშაო ჯგუფში.

დასკვნის უნარი: კულტურის კვლევების ბაკალავრს შეუძლია კულტურის ფენომენთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემების შეგროვება, განმარტება და ანალიზი შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტირება; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა; აქვს კულტურის კვლევების პრობლემატიკის სინქრონული და დიაქრონული ხედვის უნარი; სიტუაციაში ადაპტირებისა და, მინიმალური დახმარების პირობებში, მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი; პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. შეუძლია მონაცემთა ინტერპრეტაცია, კრიტიკული შეფასება, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბება; პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება.

სწავლის უნარი: კულტურის კვლევების ბაკალავრს აქვს სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაო გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების მოძიება და გამოყენება. მას ესმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, მისი თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების დამოუკიდებლად სრულყოფა პრაქტიკული საქმიანობის პროცესში; დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად; სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები: კულტურის კვლევების ბაკალავრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა, აკადემიური და ეთიკური ნორმები; იცავს ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას; აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის, განსხვავებული კულტურებისა და რელიგიების პატივისცემა; პატივს სცემს დემოკრატიულ ფასეულობებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.). შეძენილი ცოდნის შემოწმებისა და პრაქტიკული გამოყენების ამოცანას ემსახურება საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც, ამავე დროს, საფუძველს უყრის დამოუკიდებელი კვლევის უნარის ჩამოყალიბებას. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები საერთოა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამასთან. ეს უზრუნველყოფს კულტურის მეცნიერებათა სფეროსათვის აუცილებელ მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ ცოდნას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: კულტურის მეცნიერებათა ძირითადი სპეციალობის მქონეს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს იმ სასწავლო, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში, რომელთა ინტერესის სფეროს კულტურის ფენომენი წარმოადგენს. იგი შეიძლება დასაქმდეს არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, მასმედიაში, კულტურის პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრუქტურებში, ითანამშრომლოს კულტურულ-ისტორიული მიმართულების ექსპედიციებთან.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: თან ერთვის

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ნინო ჩიქოვანი

დამატებითი ინფორმაცია: საფაკულტეტო კრედიტების დაგროვების შემთხვევაში, ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადად შეიძლება განისაზღვროს მეხუთე სემესტრი.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

ნინო ჩიქოვანი, პროფესორი
ქეთევან კაკიტელაშვილი, ასოცირებული პროფესორი
ივანე წერეთელი, ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
მაია ქვრივიშვილი, ასისტენტ პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ირაკლი ჩხაიძე, ასისტენტ პროფესორი, კულტურის კვლევების დოქტორი
(ბიოგრაფიები თან ერთვის)

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რესურს–ცენტრი თსუ მე–2 და მე–5 კორპუსებში, კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, რომელშიც ინახება როგორც სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე სასწავლო კურსების რიდერები და სწავლებისა და კვლევის პროცესისათვის საჭირო ელექტრონული რესურსი. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა გაცვლითი პროგრამა (მაგალითად, ჩვენი სტუდენტები ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში სწავლობდნენ ვილნიუსის, ტარტუსა და რიგის უნივერსიტეტებში, შესაბამისად, ჩვენ თითქმის ყოველ სემესტრში გვყავს სტუდენტები დასახელებული უნივერსიტეტებიდან), საერთაშორისო სტიპენდიები; გარდა ამისა, სტუდენტები ჩართული არიან ინსტიტუტთან არსებული ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის კვლევით პროექტებში და კულტურული მრავალფეროვნების ლაბორატორიის მუშაობაში.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **კულტურის კვლევების** საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

შედეგების რუკა

№	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**ცოდნა და გაცნობიერება;**	**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;**	**დასკვნის უნარი;**	**კომუნიკაციის უნარი;**	**სწავლის უნარი;**	**ღირებულებები.**
1.	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	✓		✓	✓		✓
2.	ძირითადი ცნებები და ტერმინები კულტურის მეცნიერებებში	✓	✓		✓	✓	
3.	კულტურა ისტორიული კვლევის ობიექტი (ქართული კულტურის ისტორია)	✓	✓	✓	✓		✓
4.	ლოკალურ ცივილიზაციათა თეორია და მსოფლიო ისტორია						
5.	კულტურა და იდენტობა	✓	✓	✓	✓	✓	
6.	ინტერკულტურული დიალოგის პრინციპები	✓	✓	✓	✓	✓	✓
7.	ნაციონალიზმის კულტურული ასპექტები	✓	✓	✓	✓		✓
8.	გლობალიზაცია და ლოკალური კულტურები	✓	✓	✓	✓		✓
9.	დასავლური კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები	✓		✓	✓	✓	✓
10.	სოციალური და კულტურის გეოგრაფია						
11.	ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია. მეხსიერების პოლიტიკა	✓	✓	✓	✓	✓	

12.	საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციები IV-XII სს.	✓		✓	✓	✓	
13.	ოქროს ხანის ქართული კულტურა: მიმართება ქრისტიანულ და აღმოსავლურ მუსლიმურ სამყაროებთან	✓		✓	✓	✓	
14.	ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი აღმოსავლურ-მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში (XVI-XVIII სს.)	✓		✓	✓	✓	
15.	საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური გარემოცვის ცვლილება XIX საუკუნეში	✓		✓	✓	✓	
16.	საქართველოს კულტურა საბჭოთა პერიოდში: ძირითადი მახასიათებლები	✓		✓	✓	✓	✓
17.	კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში	✓		✓	✓	✓	✓
18.	ამერიკის შეერთებული შტატების კულტურა: ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი	✓	✓	✓		✓	✓

დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად): კულტურის კვლევები (Cultural Studies)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ESTC კრედიტი

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ზოგადი ცოდნა კულტურის კვლევების სფეროში და აღჭურვოს იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მისი შანსების გაზრდას შრომით ბაზარზე ძირითად (მაპროფილებელ) სპეციალობასთან კომბინაციაში წარმატებით დასასაქმებლად. კულტურის მეცნიერებების დამატებითი საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები,

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება: სალექციო და სასემინარო მუშაობისათვის განსაზღვრული თეორიული და ემპირიული მასალის ათვისების საფუძველზე, ბაკალავრი ფლობს საბაზისო ცოდნას კულტურის მეცნიერებებში, კულტურის ფენომენის მეცნიერული ანალიზის საწყისებს, აქვს წარმოდგენა კულტურის ფენომენის კვლევის ინტერდისციპლინურ ხასიათზე, იცნობს ძირითად პრობლემებს და განვითარების ტენდენციებს კულტურის მეცნიერებებში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: ემპირიული მასალის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, ლიტერატურის მოძიება, სისტემატიზაცია, მუშაობის შედეგების პრეზენტაცია ზეპირი და წერილობითი ფორმით.

დასკვნის უნარი: სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, დასკვნის გამოიტანა და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება.

კომუნიკაციის უნარი: სემინარული მუშაობა სტუდენტს უყალიბებს საკუთარი მუშაობის შედეგების აუდიტორიისათვის მიწოდებისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარს.

სწავლის უნარი: კულტურის კვლევების სფეროში არსებული ლიტერატურის მოძიებისა და სწავლის პროცესში მისი გამოყენებისათვის მზაობა.

ღირებულებები: კულტურული მრავალფეროვნების, კულტურათა თანაბარ მნიშვნელიანობისა და კულტურათაშორისი დიალოგის პრინციპების, როგორც ღირებულებათა დამკვიდრება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა – განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ნინო ჩიქოვანი

დამატებითი ინფორმაცია: პროგრამაზე სწავლის დაწყება რეკომენდებულია მესამე სემესტრიდან, რომელ დამატებით პროგრამასთან კომბინირება არის სასურველი, სტუდენტთა რა რაოდენობის მომსახურება შეუძლია პროგრამას და სხვ.
კულტურის კვლევების დამატებით საბაკალავრო პროგრამაზე სასურველია, შემოვიდნენ სტუდენტები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეთნოლოგიის, ქართული ფილოლოგიის, რომელიმე უცხოენოვანი ფილოლოგიის და სხვ. ძირითადი პროგრამებიდან; ასევე სასურველია სტუდენტთა მიღება სოციალ-პოლიტიკური პროფილის პროგრამებიდან. ამ ძირითადი პროგრამების კომბინირება კულტურის კვლევების დამატებით პროგრამასთან გაუფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და მისცემს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **კულტურის კვლევები**
სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ნინო ჩიქოვანი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011**
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები												
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
			ლექცია	**სემინარი ჯგუფი / პრაქტიკუმი**	**ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მოსამზადება**	**შუალედური გამოცდის/გამოცდების მოსამზადება**	**დასკვნითი გამოცდის მოსამზადება**			**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
	ენათმეცნიერების შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თინათინ ბოლქვაძე, რუსუდან ასათიანი, ეთერ სოსელია
	აკადემიური წერა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, ნინო შარაშენიძე

	ფილოსოფიის შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დემურ ჯალაღონია, ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი
	საქართველოს ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მიხეილ ბახტაძე
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (ევროპული ენები) – 10 კრედიტი (ECTS)												
	ინგლისური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ინგლისური ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	გერმანული ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ფრანგული ენა A1.1			60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი

	ფრანგული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ესპანური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ესპანური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ესპანური ენა 2	5		60	45	8	10	2	ესპანური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	იტალიური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	იტალიური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	იტალიური ენა 2	5		60	45	8	10	2	იტალიური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	რუსული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	რუსული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	რუსული ენა 2	5		60	45	8	10	2	რუსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ახალი ბერძნული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი ბერძნული ენა 2	5		60	45	8	10	2	ახალი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	შვედური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	შვედური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	შვედური ენა 2	5		60	45	8	10	2	შვედური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ნორვეგიული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ნორვეგიული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ნორვეგიული ენა 2	5		60	45	8	10	2	ნორვეგიული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	პოლონური ენა (საფაკულტეტო)	**10**										

	პოლონური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	პოლონური ენა 2	5		60	45	8	10	2	პოლონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)	**10**										
	ქართული ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (კლასიკური ან აღმოსავლური ენა) – 10 კრედიტი (ECTS)												
	ძველი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ძველი ბერძნული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ძველი ბერძნული ენა 2	5		60	45	8	10	2	ძველი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ლათინური ენა(საფაკულტეტო)	**10**										
	ლათინური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ლათინური ენა 2	5		60	45	8	10	2	ლათინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	არაბული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	არაბული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	არაბული ენა 2	5		60	45	8	10	2	არაბული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სპარსული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	სპარსული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	სპარსული ენა 2	5		60	45	8	10	2	სპარსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა(საფაკულტეტო)	**10**										

	თურქული ენა1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა2	5		60	45	8	10	2	თურქული ენა1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ებრაული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ებრაული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ებრაული ენა 2	5		60	45	8	10	2	ებრაული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	იაპონური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	იაპონური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	იაპონური ენა 2	5		60	45	8	10	2	იაპონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ჩინური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ჩინური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ჩინური ენა 2	5		60	45	8	10	2	ჩინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი სომხური ენა 1(საფაკულტეტო)	**10**										
	ახალი სომხური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი სომხური ენა 2	5		60	45	8	10	2	ახალი სომხური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS)												
	შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ირმა რატიანი
	შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მარიამ ჩხარტიშვილი
	შესავალი არქეოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ვახტანგ ლიჩელი
	შესავალი ეთნოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან ხუციშვილი
	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ჩიქოვანი
	შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მაია ციციშვილი
	შესავალი კავკასიოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ცირა ბარამიძე, ჯონი კვიციანი
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		თეა შურღაია, მარიამ ნანობაშვილი
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. ხაჩიძე, ა. ხარანაული

	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა რუსიეშვილი
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლალი ქეცბა-ხუნდაძე
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან გაბუნია
	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		რისმაგ გორდეზიანი, ირინე დარჩია
	შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		თინა დოლიძე
	შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ანა ჩიქოვანი
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნათელა ჭოხონელიძე
	შესავალი ამერიკისმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ელენე მეძმარიაშვილი
	შესავალი პედაგოგიკაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ქეთევან ჭკუასელი
სპეციალობის სავალდებულო კურსები – 65 კრედიტი (ECTS)												
1.	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ჩიქოვანი, ირაკლი ჩხაიძე
2.	ძირითადი ცნებები და ტერმინები კულტურის მეცნიერებებში	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან კაკიტელაშვილი
3.	კულტურა ისტორიული კვლევის ობიექტი (ქართული კულტურის ისტორია)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მაია ქვრივიშვილი,ირაკლი ჩხაიძე
4.	ლოკალურ ცივილიზაციათა თეორია და მსოფლიო ისტორია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მაია ქვრივიშვილი
5.	იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში[1]	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ქეთევან კაკიტელაშვილი
6.	ინტერკულტურული დიალოგის პრინციპები	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო ჩიქოვანი, ირაკლი ჩხაიძე
7.	ნაციონალიზმის კულტურული ასპექტები	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ივანე წერეთელი, ირაკლი ჩხაიძე
8.	მრავალეთნიკური და მრავაკულტურული საქართველო[2]	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი

[1] აღნიშნული დისციპლინა 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრამდე ცხადდებოდა სახელწოდებით „კულტურა და იდენტობა“.
[2] აღნიშნულ დისციპლინას 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ენიჭებოდა სავალდებულო საგნის სტატუსი, მანამდე იყო არჩევითი.

9.	კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში[3]	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ივანე წერეთელი, ირაკლი ჩხაიძე
10.	კულტურის გეოგრაფია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ბაადურ წერეთელი
11.	ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია. მეხსიერების პოლიტიკა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ჩიქოვანი
	საბაკალავრო ნაშრომი	10										
სპეციალობის არჩევითი კურსები – 55 კრედიტი (ECTS)												
1.	საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციები IV-XI სს.	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მაია ქვრივიშვილი
2.	ოქროს ხანის ქართული კულტურა: მიმართება ქრისტიანულ და აღმოსავლურ მუსლიმურ სამყაროებთან	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ივანე წერეთელი
3.	ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი აღმოსავლურ-მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში (XVI-XVIII სს.)	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მაია ქვრივიშვილი
4.	საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური გარემოცვის ცვლილება XIX საუკუნეში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მაია ქვრივიშვილი
5.	საქართველოს კულტურა საბჭოთა პერიოდში: ძირითადი მახასიათებლები	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მაია ქვრივიშვილი
6.	დასავლეთის სახე საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ[4]	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ირაკლი ჩხაიძე
7.	ამერიკის შეერთებული შტატების კულტურა: ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან კაკიტელაშვილი

[3] აღნიშნულ დისციპლინას 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ენიჭებოდა სავალდებულო საგნის სტატუსი, მანამდე იყო არჩევითი.

[4] აღნიშნული დისცპლინის ნაცვლად 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრამდე პროგრამაში ფიქსირდებობდა საგანი „დასავლური კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები (ადრეუილი შუა საუკუნეები და რენესანსი)“, რომელიც პროგრამის აკრედიტაციის პერიოდში იყო სავალდებულო, ხოლო 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან - არჩევითი.

8.	გლობალიზაცია და ლოკალური კულტურები[5]	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მაია ქვრივიშვილი
9.	ქართული ნაციონალიზმის კულტურული კონტექსტი	5	15	30	60	8	9	3	ნაციონალიზმის კულტურული ასპექტები	✓		ნინო ჩიქოვანი ირაკლი ჩხაიძე
10.	ისტორიული მეხსიერების ფორმირება პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ივანე წერეთელი
11.	საქართველო პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პერიოდში (პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტები)[6]	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ივანე წერეთელი, დავით მაცაბერიძე
12.	ეთნიკური და რელიგიური იდენტობების ფორმირება საქართველოში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე	5	30	15	60	7	10	3	წინაპირობის გარეშე		✓	ქეთევან კაკიტელაშვილი
13.	კულტურული ტრავმა	5	30	15	60	7	10	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ჩიქოვანი
14.	ძირითადი სკოლები და კონცეფციები კულტურის კვლევებში	5	30	15	60	7	10	3	წინაპირობის გარეშე	✓		ივანე წერეთელი
	რეკომენდებული არჩევითი საგნები სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან											
1.	გვიანი შუა საუკუნეები და აღორძინების ეპოქა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ბეჟან ჯავახია
2.	ქართული პოლიტიკური აზრი	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მალხაზ მაცაბერიძე
3.	კავკასიის შედარებითი პოლიტიკა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე
4.	ანტიკური საზოგადოება	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ. მშვილდაძე
5.	ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსან-თა ეპოქა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ბ. ჯავახია
6.	გვიანი შუა საუკუნეები და აღორძინების ეპოქა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ბ. ჯავახია
7.	ბიბლია და ძველი აღმოსავლეთი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ე. ავალიანი
8.	„ბიზანტიური თანამეგობრობის“ ისტორია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ბ. ჯავახია

[5] აღნიშნულ დისციპლინას 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ენიჭებოდა არჩევითი საგნის სტატუსი, მანამდე იყო სავალდებულო.
[6] კურსი დამტკიცებულია თსუ ინტერდისციპლინური კვლევებისა და სწავლების ცენტრისა და ღია საზოგადოების უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

9.	ანტიკური სამყაროს ხელოვნება	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ნ. სილაგაძე
10.	შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის ხელოვნება	5	30	15	60	8	9	3	ანტიკური სამყაროს ხელოვნება	✓		ნ. სილაგაძე
11.	შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნება	5	30	15	60	8	9	3	ანტიკური სამყაროს ხელოვნება	✓		ნ. ჯაბუა
12.	ქართული ხელოვნების ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. სილაგაძე
13.	ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნება	5	30	15	60	8	9	3	XIX-XX საუკუნეების ხელოვნება (აშშ, ევროპა)		✓	მ.ციციშვილი
14.	ისლამური ხელოვნება[7]	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ი. კოშორიძე
15.	კოსტიუმის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ი. მირიჯანაშვილი
16.	თანამედროვე არქიტექტურა: განვითარება გლობალიზაციისკენ	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ი. მირიჯანაშვილი
17.	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში	5	15	30	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	შ. თურქიაშვილი
18.	კავკასიის შედარებითი პოლიტიკა	5	15	30	62	12	9	3	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში, შედარებითი პოლიტიკა		✓	მ. მაცაბერიძე, თ. ქარაია
19.	ქართული პოლიტიკური აზრი	5	15	30	56	12	9	3	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია	✓		მ. მაცაბერიძე, მ. მანჩხაშვილი
20.	მედია და პოლიტიკა	5	15	15	73	10	9	3	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში	✓	✓	ე. ბასილაია
21.	სოციოლოგიის შესავალი	5	30	15	65	15	12	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ი. კაჭკაჭიშვილი, ა. ბერძენიშვილი, შ. თურქიაშვილი ლ. წულაძე
22.	კულტურის ემპირიული კვლევები	5	15	15	60	16	17	2	შესავალი სოციალური კვლევის მეთოდში		✓	ლ . წულაძე
23.	შესავალი ფსიქოლოგიაში	5	30		71	2+10	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მესტვირიშვილი, მხეიძე
24.	სოციალური ფსიქოლოგია 1	5	15	30	56	4+8	9	3	ფსიქოლოგიის შესავალი	✓		აბზიანიძე, ქიტიაშვილი

[7] აღნიშნული დისციპლინა 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრამდე ცხადდებოდა სახელწოდებით „ისლამური ხელოვნება და საქართველო“.

25.	კონფლიქტის სოციალური ფსიქოლოგია	5	15	30	48	4+10	15	3	ფსიქოლოგიის შესავალი	✓		გუგული მაღრაძე
26.	კულტურული ფსიქოლოგია	5	15	30	56	4+8	9	3	ფსიქოლოგიის შესავალი		✓	აბზიანიძე
27.	ქართული ფოლკლორი	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქ. სიხარულიძე თ. ქურდოვანიძე
28.	ევროპის ხალხთა ეთნოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		რ. თოფჩიშვილი
29.	საქართველოს ეთნოლოგია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		რ. თოფჩიშვილი
30.	მედია და ნაციონალიზმი საქართველოში	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე			დავით მაცაბერიძე
31.	ეთნიკური უმცირესობები საქართველოში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ქ. ხუციშვილი
32.	„ქართლის ცხოვრება“ და მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ. ჩხარტიშვილი
33.	რელიგიების ისტორია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქ. ხუციშვილი
34.	რელიგია თანამედროვე მსოფლიოში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ქ. ხუციშვილი
35.	კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	რ. თოფჩიშვილი
36.	საქართველოს ისტორია (VIII-XVსს.)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ასოც. პროფ. მ. ბახტაძე
37.	არაბული ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობა	5	30	15	63	4	10	3	წინაპირობის გარეშე		✓	ნ. გელოვანი
38.	კინოს ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ო. ჟღენტი
თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS) *სტუდენტს შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით აირჩიოს ორი საგანი სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან ისწავლოს უცხო ენა.*												

დამატებითი პროგრამა – კულტურის კვლევები (60 ECTS კრედიტი)

სავალდებულო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ჩიქოვანი
	ძირითადი ცნებები და ტერმინები კულტურის მეცნიერებებში	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან კაკიტელაშვილი
	ლოკალურ ცივილიზაციათა თეორია და მსოფლიო ისტორია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მაია ქვრივიშვილი
	იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში[8]	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ქეთევან კაკიტელაშვილი
	ინტერკულტურული დიალოგის პრინციპები	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო ჩიქოვანი
	სოციალური და კულტურის გეოგრაფია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ბაადურ წერეთელი
	ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია. მეხსიერების პოლიტიკა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ჩიქოვანი
	ნაციონალიზმის კულტურული ასპექტები	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ივანე წერეთელი ირაკლი ჩხაიძე
არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)												
	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ძირითადი პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი											

[8] აღნიშნული დისციპლინა 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრამდე ცხადდებოდა სახელწოდებით „კულტურა და იდენტობა“.

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ——————————————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————

თარიღი ——————————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი